

დამტკიცებულია

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს დირექტორი
იგორ კორიტკო

შეთანხმებულია

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი

"____" _____ 2023 წ.

"____" _____ 2023 წ.

შპს „რუსთავის ფოლადი“


მეტალურგიული საწარმო

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები
გაფრქვევის ნორმების პროექტი

შემსრულებელი:

შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი

 ზ. მაგალობლიშვილი

თბილისი 2023

ანოტაცია

ანგარიში შესრულებულია ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად [1, 2, 3, 4, 5] და მასში სისტემატიზებულია ქ. რუსთავში, გაგარინის ქ. №12-ში მდებარე შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მეტალურგიული საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში არსებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. გამოკვლევის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 60 სტაციონარული წყარო. ინვენტარიზაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვა 23 მავნე ნივთიერება სულ ჯამურად **10180.7047 ტ/წელ.**

პროექტში განხილულია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ყველა შესაძლო ასპექტები, მოყვანილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გაანგარიშებათა ჩატარებისათვის საჭირო საწყისი ინფორმაცია საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით, დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის დადგენილია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.

სარჩევი

ძირითად ტერმინთა განმარტებები..... 5

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ 6

2. საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება..... 16

3. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით 17

3.1. ელექტრო ფოლადსადნობი საამქრო 17

3.2. საფასონო საჩამომსხმელო საამქრო 20

3.3. სამოდელიო ხის უბანი 22

3.4. მილსაგლინავი საამქრო..... 22

3.5. სორტული გლინვის საამქრო..... 27

3.6. საურნალე საამქრო 29

3.7. შემკეთებელ მექანიკური საამქრო 30

3.8. სამჭედლო განყოფილება 33

3.9. ლითონკონსტრუქციების უბანი 34

3.10. რკინიგზის სალოკომოტივო დეპო 35

3.11. სამშენებლო სარემონტო საამქრო 35

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება 36

5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში 37

5.1. ელექტრო ფოლადსადნობი საამქრო..... 37

5.1.1. ემისიის გაანგარიშება 1 ელექტრო რკალური და 1 ციცხვ-ლუმელიდან (გ-1)..... 37

5.1.2. ემისიის გაანგარიშება ნამზადთა უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარიდან (გ-2)..... 39

5.1.3. ემისიის გაანგარიშება ნამზადის საწყობიდან (გ-3) 40

5.1.4. ემისიის გაანგარიშება კაზმის განყოფილებიდან (გ-4)..... 40

5.1.5. ემისიის გაანგარიშება ღუმელების და ციცხვების ამონაგის შეკეთებისა და შრობისას (გ-5)..... 41

5.1.6. ემისიის გაანგარიშება ფოლადის ვაკუმირების ღუმელიდან (გ-6) 41

5.1.7. ემისიის გაანგარიშება ღუმელიდან ციცხვში ლითონის ჩამოსხმისას (გ-7)..... 42

5.1.8. ემისიის გაანგარიშება წიდის ორმოში ჩასხმისას (გ-8)..... 42

5.1.9. ემისიის გაანგარიშება ციცხვების ჰორიზონტალური გამახურებელიდან (გ-9)..... 43

5.1.10. ემისიის გაანგარიშება ციცხვების ვერტიკალური გამახურებელიდან (გ-10)..... 43

5.1.11. ემისიის გაანგარიშება ციცხვების შუღედური გამახურებელიდან (გ-11)..... 44

5.1.12. ემისიის გაანგარიშება მეტალის აირული ჭრისას (გ-12)..... 44

5.1.13. ემისიის გაანგარიშება ჯართის დამაქუცმაცებელიდან (შრედერი) (გ-13)..... 46

5.1.14. ემისიის გაანგარიშება ჯართის დასაწყობებისას (გ-14)..... 47

5.1.15. ემისიის გაანგარიშება ჯართის პრეს-მაკრატელიდან (გ-15) 48

5.1.16. ემისიის გაანგარიშება წიდის დროებით დასაწყობებისას (გ-16)..... 49

5.2. საფასონო საჩამომსხმელო საამქრო 52

5.2.1. ემისიის გაანგარიშება გაერთიანებული ასპირაციული სისტემიდან (გ-17) 52

5.2.2. ემისიის გაანგარიშება 5 ტონიანი ელექტრორკალური ღუმელის ექტროდთაშორისი ღრეჭოებიდან დნობისას და გაქრევისას (გ-18)..... 56

5.2.3. ემისიის გაანგარიშება 3 ტონიანი ელექტრორკალური ღუმელის ელექტროდთაშორისი ღრეჭოებიდან დნობისას და გაქრევისას (გ-19) 56

5.2.4. ემისიის გაანგარიშება 5 ტონიანი ელექტრორკალური ღუმელიდან ციცხვში ფოლადის ჩამოსხმისას (გ-20)..... 57

5.2.5. ემისიის გაანგარიშება 3 ტონიანი ელექტრორკალური ღუმელიდან ციცხვში თუჯის ჩამოსხმისას (გ-21) 57

5.2.6. ემისიის გაანგარიშება 5 და 3 ტონიანი ელექტრორკალური ღუმელების კაზმის განყოფილებიდან (გ-22) 58

5.2.7. ემისიის გაანგარიშება 5 და 3 ტონიანი ელექტრორკალური ღუმელებიდან წიდის ორმოში ჩასხმისას (გ-23) 58

5.2.8. ემისიის გაანგარიშება 5 და 3 ტონიანი ელექტრორკალური ღუმელებიდან წიდის დროებით დასაწყობებისას (გ-24)..... 58

5.2.9. ემისიის გაანგარიშება ჯართის დასაწყობებისას (გ-25)..... 61

5.2.10. ემისიის გაანგარიშება საყალიბე მასალის (ქვიშა) დასაწყობება -შენახვისას (გ-26)..... 62

5.2.11. ემისიის გაანგარიშება საყალიბე მასალის (ქვიშა) ბუნკერში ჩაყრისას (გ-27)	65
5.2.12. ემისიის გაანგარიშება ბენტონიტური მასალის (თიხა) დასაწყობება შენახვისას (გ-28)	66
5.2.13. ემისიის გაანგარიშება ბენტონიტური მასალის (თიხა) სატკეპნში ხელით ჩაყრა (გ-29)	68
5.2.14. ემისიის გაანგარიშება საპირე მასალის (საყალიბე ქვიშა) დასაწყობება შენახვისას (გ-30)	70
5.2.15. ემისიის გაანგარიშება საპირე მასალის (საყალიბე ქვიშა) ამრევეში ჩაყრისას (გ-31)	72
5.2.16. ემისიის გაანგარიშება შემრევის ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-32).....	73
5.2.17. ემისიის გაანგარიშება საშრობი ღუმელიდან (გ-33).....	74
5.2.18. ემისიის გაანგარიშება გამოსაწვავი ღუმელიდან (გ-34).....	74
5.2.19. ემისიის გაანგარიშება თერმული დამუშავების ღუმელიდან (გ-35).....	75
5.2.20. ემისიის გაანგარიშება ჰორიზონტალურად მბრუნავი სატკეპნიდან (გ-36)	75
5.2.21. ემისიის გაანგარიშება გამოსაბერტყი ექსცენტრიკული ცხაური 2,5-მდე ტ/სთ ტვირთამწეობით (გ-37) 76	
5.2.22. ემისიის გაანგარიშება თუჯის საჩამოსხმო მანქანა (გ-38).....	76
5.2.23. ემისიის გაანგარიშება ციცხვების გახურებისას 5 და 3-ტონიანი ღუმელებისათვის (გ-39).....	76
5.2.24. ემისიის გაანგარიშება სხმულის პირველადი გასუფთავებისას საჩორტნ-სახენ ჩარხში (გ-40)	77
5.3. სამოდელო ხის უბანი	77
5.3.1. ემისიის გაანგარიშება ხის სამოდელო უბნიდან (გ-41)	77
5.4. მილსაგლინავი საამქრო.....	78
5.4.1. ემისიის გაანგარიშება მილსაგლინავი აგრეგატი 400 რგოლური ღუმელიდან (გ-42)	78
5.4.2. ემისიის გაანგარიშება მილების პლაზმური ჭრის დანადგარიდან (გ-43, გ-44, გ-45, გ-46).....	78
5.4.3. ემისიის გაანგარიშება თერმული დამუშავების ღუმელიდან (გ-47).....	80
5.4.4. ემისიის გაანგარიშება ფოსფატირების უბნიდან (გ-48).....	81
5.4.5. ემისიის გაანგარიშება მილების თერმული დამუშავების ღუმელიდან (გ-60).....	82
5.5. სორტული გლინვის საამქრო.....	82
5.5.1. ემისიის გაანგარიშება სორტული გლინვის ღუმელიდან (გ-49).....	82
5.6. საურნალე საამქრო	83
5.6.1. ემისიის გაანგარიშება მეტალის აირული ჭრისას (გ-50).....	83
5.6.2. ემისიის გაანგარიშება ჰიდრავლიკური პრესმაკრატელიდან (პირანია) (გ-51).....	84
5.6.3. ემისიის გაანგარიშება ჰიდრავლიკური პრესმაკრატელიდან (ლეფორტი) (გ-52)	86
5.6.4. ემისიის გაანგარიშება არაგაბარტული წიდის მსხვრევოსას (გ-53)	87
5.6.5. ემისიის გაანგარიშება მეტალის ჯართის დასაწყობებისას (გ-54)	89
5.7. შემკეთებელ მექანიკური საამქრო	90
5.7.1. ემისიის გაანგარიშება შემკეთებელ მექანიკური საამქროდან (გ-55)	90
5.8. სამჭედლო განყოფილება	96
5.8.1. ემისიის გაანგარიშება გამახურებელი ღუმელიდან (გ-56)	96
5.9. ლითონკონსტრუქციების უბანი	96
5.9.1. ემისიის გაანგარიშება ლითონკონსტრუქციების უბნიდან (გ-57).....	97
5.10. რკინიგზის სალოკომოტივო დეპო	101
5.10.1. ემისიის გაანგარიშება ზეთის რეზერვუარიდან (გ-58).....	101
5.11. სამშენებლო სარემონტო საამქრო	102
5.11.1. ემისიის გაანგარიშება სამშენებლო სარემონტო საამქროდან (გ-59)	102
6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები	108
7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში.....	123
8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გრაფიკული ნაწილი	125
9. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგები და ანალიზი	135
10. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები	136
11. ლიტერატურა.....	142
12. დანართი 1. საწარმოს განთავსების სიტუაციური სქემა	143
13. დანართი 2. საწარმოს სიტუაციური სქემა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დატანით 144	
14. დანართი 3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის პროგრამული ამონაბეჭდი	145

ძირითად ტერმინთა განმარტებები

- ა) "ატმოსფერული ჰაერი" - ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;
- ბ) "მაკნე ნივთიერება" - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- გ) "ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება" - ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მაკნე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;
- დ) "ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა" - ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მაკნე ზემოქმედებას;
- ე) "ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია" - ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;
- ვ) "ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია" - ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;
- ზ) "ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა" - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მაკნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მაკნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მაკნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

შპს „რუსთავის ფოლადი“ განთავსებულია ქ. რუსთავში, გაგარინის ქუჩა №12. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

ობიექტის დასახელება	შპს „რუსთავის ფოლადი“
ობიექტის მისამართი:	
ფაქტიური	გაგარინის ქ. 12. 3700 რუსთავი, საქართველო
იურიდიული	გაგარინის ქ. 12. 3700 რუსთავი, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი	404411908
GPS კოორდინატები	X = 501848.62 m E; Y = 4598613.67 m N
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	იგორ კორიტკო
ტელეფონი	+995 32 260 66 99
ელ-ფოსტა	contacts@rustavisteel.ge
მანძილი ობიექტიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე	1.0 მ საწარმოს ტერიტორიის საზღვრიდან
ეკონომიკური საქმიანობის სახე	მეტალურგიული წარმოება
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ფოლადი 280 000 ტ/წელ. ნაგლინი 280 000 ტ/წელ. ფასონური ჩამოსხმა შიდა მოხმარების: ფოლადი 2690 ტ/წელ. თუჯი 1714 ტ/წელ.
საპროექტო წარმადობა	ფოლადი 280 000 ტ/წელ. ნაგლინი 280 000 ტ/წელ. ფასონური ჩამოსხმა შიდა მოხმარების: ფოლადი 2690 ტ/წელ. თუჯი 1714 ტ/წელ.
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	მეტალის ჯართი \approx 528 000 ტ/წელ.
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)	ბუნებრივი აირი \approx 60966.73 ათ. მ ³ /წელ.
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24

კომპანიის პროფილი

2011 წელს შეიქმნა შპს „რუსთავის ფოლადი“, რომელმაც შეიძინა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აქტივები. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ერთ–ერთი ყველაზე მსხვილი მეტალურგიული წარმოებაა მთელს კავკასიაში, მდებარეობს საქართველოს დედაქალაქის, თბილისის სამხრეთითა და მისგან 30 კილომეტრის დაშორებით.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა 1948 წელს დაარსდა და ამიერკავკასიაში სრული მეტალურგიული ციკლის პირველი საწარმო იყო, რომელიც ამზადებდა ფოლადს, ცხლადნაგლინ უნაკერო მილებს, თუჯის, ალუმინისა და რკინის სხვადასხვა კონსტრუქციებს. ქარხანა აწარმოებდა უნაკერო მილებს ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის საბადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

დღეს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ახალი მენეჯმენტისა და მფლობელების მიზანია ინვესტიციებისა და რესტრუქტურის მთავარი პროგრამის ფარგლებში აღადგინოს ქარხანა და განავითაროს საქმიანობა რეგიონალურ და ახალ გლობალურ ბაზრებზე.

ქარხანა დღეს წარმატებით ფუნქციონირებს და მრავალი სახეობის პროდუქციას აწარმოებს, რომელთა შორისაა: არმატურა; უნაკერო მილები; კვადრატული ნამზადი; თუჯის სხმულები; ლითონკონსტრუქციები; მექანიკური დეტალები; ფასონური სხმულები და გრანულირებული წიდა.

იმისათვის, რომ რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ გაიმყაროს პოზიციები ბაზარზე, პირველადი ამოცანაა წარმოების მოცულობის გაზრდა. ამ მიზნით, ახალი მენეჯმენტი თანმიმდევრულად ახორციელებს ქარხნის სისტემატურ განახლებასა და გადაიარაღებას, ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს. ქარხნისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია გამოცდილი კადრების ხელშეწყობით ახალგაზრდა კადრების მომზადება.

დღეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ახორციელებს ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ს, რუსეთის და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე, ასევე მეზობელ სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში.

შპს რუსთავის ფოლადში დასაქმებულია 1300-ზე მეტი ადამიანი.

ისტორია და ტრადიციები

- 1940 წელს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ მიიღო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის გადაწყვეტილება ქ. რუსთავში. ეს განპირობებული იყო რეგიონში ძირითადი ნედლეულის რესურსების არსებობით და კასპიის ნავთობის საბადოებთან სიახლოვით. დაიწყო ქარხნის მშენებლობის წინასწარი სამუშაოები, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამო შეჩერდა;
- 1944 წლის 23 მარტს ქარხნის მშენებლობა განახლდა ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ "რუსთავის" მიმდებარე ტერიტორიაზე;
- 1946 წელს ამუშავდა პირველი დამხმარე საამქროები: თბოელექტროცენტრალი, მექანიკურ-შემკეთებელი საამქრო, ფასონური სხმულების საამქრო, ლითონკონსტრუქციების საამქრო და სხვა;
- 1948 წელი ქარხნის დაარსების ოფიციალურ თარიღად მიიჩნევა;
- 1950 წლის 27 აპრილს მარტენული ქართული ფოლადის პირველი 150 ტონა ნაღობი იქნა დამზადებული ქარხანაში;
- 1952 წლის სექტემბერში ქარხნის მილსაგლინავ საამქროში, "დგან 140-ზე" პირველი ცხლადნაგლინი უნაკერო მილი დამზადდა;
- 1953 წლის დეკემბერში, ქარხნის მილსაგლინავ საამქროში, მწყობრში ჩადგა "დგანი 400", რომელიც იმ დროისათვის უნაკერო მილების ერთ-ერთი უმსხვილესი დგანი იყო მთელს ევროპაში;
- 1954 წლის ივლისში, ბრძმედის საამქროში, პირველი ქართული თუჯი იქნა გამოდნობილი;
- 1954 წელს ქარხანაში მიიღეს პირველი ქართული კოქსი;
- 1955 წელს ამუშავდა ფურცლოვანი და სორტული ნაგლინის საამქროები;
- 1961 წელს ამოქმედდა ცივად ადიდვის საამქრო;
- 1962 წელს მილსაგლინავ საამქროში დასრულდა დგანი "400-ის" მთლიანი ავტომატიზაცია;
- 1967 წელს პირველი უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარის მეშვეობით ჩამოსახეს სხმულ-სლიაბი;
- 1961-1991 წლებში საწარმოში სისტემატურად ხორციელდებოდა ძირითადი დანადგარების განახლების, საწარმოო სიმძლავრეების გაზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები:
 - 1975-1980 წლებში ძირეულად განახლდა მარტენის ღუმელები და მათი მოცულობა 150 ტონიდან 200 ტონამდე გაიზარდა;
 - 1980 წელს ბრძმედის რეკონსტრუქციის შედეგად მისი მოცულობა 750მ³-დან 1093მ³-მდე გაიზარდა;
 - 1982 წელს ამუშავდა ახალი აგლომბრიკა.
- 1944-1999 წლებში რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ 50 მლნ. ტონამდე ფოლადი და 36 მლნ. ტონაზე მეტი მზა ნაგლინი გამოუშვა, რაც მილების, სამშენებლო არმატურის, ფურცლებისა და სხვა პროდუქციის სახით დამზადდა;
- 1999 წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ფაქტიურად სრულად გაჩერდა;
- 2006 წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აქციების სრული პაკეტი შეიძინა ერთ-ერთმა ინგლისურ-ქართულმა კერძო კომპანიამ და მას შემდეგ დაიწყო ქარხნის რეაბილიტაციის რთული პროცესი;

- 2009 წელს ქარხნის ფოლადსადნობ საამქროში დამონტაჟდა ინდუქციური ღუმელები, აგრეთვე გარემონტდა სორტული გლინვის საამქრო და დაიწყო არმატურის წარმოების პროცესი;
- 2011 წელს წარმოების მრავალწლიანი გაჩერების შემდეგ, განახლდა წარმოების პროცესი ქარხნის მილსაგლინავ საამქროში, კერძოდ კი „დგან 400“-ზე წარმატებით განხორციელდება სხვადასხვა დიამეტრის უნაკერო მილების წარმოება ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო კომპანიის დაკვეთით;
- 2011 წელს ქარხნის მფლობელებმა და ახალმა მენეჯმენტმა დაუბრუნეს ქარხანას ძველი, ისტორიული სახელი. იმისათვის რომ რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ დაიბრუნოს ძველი მასშტაბები და გაიმყაროს პოზიციები ქვეყნის ინდუსტრიულ საზოგადოებაში, უპირველესი ამოცანაა წარმოების მოცულობის ზრდა. ამ მიზნით, დღეს ქარხნის მენეჯმენტი თანმიმდევრულად ახორციელებს ქარხნის სისტემურ განახლებას, გადაიარაღებას, ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს და გამოცდილი კადრების ხელშეწყობით ამზადებს ახალგაზრდა კადრებს.

ფაქტები და მონაცემები

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა თავისი არსებობის მანძილზე მიღწეული მაქსიმალური მწარმოებლურობის დროს წელიწადში აწარმოებდა შემდეგი რაოდენობის პროდუქციას:

- 620 000 ტ კოქსს;
- 1 200 000 ტ აგლომერატს;
- 1 450 000 ტ ფოლადს;
- 700 000 ტ თუჯს;
- 500 000 ტ უნაკერო მილებს;
- 130 000 ტ ფურცლოვან ნაგლინს;
- 130 000 ტ სორტულ ნაგლინს;
- 1 200 000 ტ მილნამზადს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ძირითადი სიმძლავრეები იყო:

- აგლომერატის ნომინალური წლიური მწარმოებლურობით 2.2 მლნ. ტონა;
- ბრძმედის ღუმელი ნომინალური წლიური მწარმოებლურობით 0.725 მლნ. ტონა;
- 2 საკოქსე ბატარეა ნომინალური წლიური მწარმოებლურობით 0.35 მლნ. ტონა;
- 8 ცალი, თითოეული 200 ტონიანი, მარტენის ღუმელი ნომინალური წლიური მწარმოებლურობით 1.5 მლნ. ტონა;
- დგანი "1000" (ბლუმინგი) ნომინალური წლიური მწარმოებლურობით 1.5 მლნ. ტონა;
- "900/750" ნამზადის დგანი ნომინალური წლიური მწარმოებლურობით 1.0 მლნ. ტონა.
 - უნაკერო მილების დგანი "140" ნომინალური წლიური მწარმოებლურობით 120 ათასი ტონა წელიწადში;
 - უნაკერო მილების დგანი "400" ნომინალური წლიური მწარმოებლურობით 350 ათასი ტონა წელიწადში.
- ცივად ადიდვის მილების საამქრო წლიური მწარმოებლურობით 50 ათასი ტონა;
- არმატურის „დგანი 320“ ნომინალური მწარმოებლურობით 160 ათასი ტონა წელიწადში.

არმატურა

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აწარმოებს თერმოგამტკიცებულ, A500C და A400C კლასის, 10-32მმ დიამეტრის არმატურას. ქარხანაში ასევე იწარმოება 10-32მმ დიამეტრის, ნებისმიერი სიგრძის გლუვი არმატურა.

ქარხანაში არმატურის წარმოება შემდეგი სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება:

- ГОСТ 10884-94;
- ГОСТ Р 52544-2006;
- ДСТУ 3760-2006;
- ASTM A615.

კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, არმატურის წარმოება აგრეთვე შესაძლებელია ბრიტანული BS 4449-2005 სტანდარტითაც.



კვადრატული ნამზადი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფოლადსადნობი საამქრო СТП 21517842-002-2012 სტანდარტის და GOST 380-2005 ქიმიური შემადგენლობის სტანდარტის შესაბამისად აწარმოებს СТ.3 СП, СТ.3 ГСП, СТ.5 СП, СТ.5 ГСП, 35Гс მარკის, 100X100მმ ზომის კვადრატულ ნამზადს.

ამჟამად, საამქრო, აწარმოებს 6 მეტრამდე სიგრძისა და 100X100მმ ზომის კვადრატულ ნამზადს.



უნაკერო მილები

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში იწარმოება ცხლადდეფორმირებული დიდი დიამეტრის უნაკერო მილები დგან - 400-ზე და პატარა დიამეტრის უნაკერო მილები დგან-140 ზე (დგან - 140 ამჟამად არ ფუნქციონირებს). მილსაგლინავი საამქრო აწარმოებს შემდეგი სახის უნაკერო მილებს:

სამაგრი მილები

სამაგრი მილები იწარმოება API Spec 5 CT და GOST 632 სტანდარტების შესაბამისად, დიამეტრით 168მმ-დან 324მმ-მდე, კედლის სისქით 7.32მმ - დან 14.2მმ-მდე. სამაგრი მილები გამოიყენება ნავთობის და გაზის ინდუსტრიაში.

მაგისტრალური მილები

მაგისტრალური მილები იწარმოება API Spec 5 L, EN 10210, EN 10297 და GOST 8731/32 სტანდარტების შესაბამისად, დიამეტრით 168მმ-დან 426მმ-მდე, კედლის სისქით 6მმ-დან 50მმ-მდე. მაგისტრალური მილები გამოიყენება ნავთობის, გაზის და წყლის ტრანსპორტირებისთვის.

უნაკერო მილები

უნაკერო მილები იწარმოება EN 10210, EN 10297, GOST 8731 და GOST 8732 სტანდარტების შესაბამისად, დიამეტრით 168მმ-დან 426მმ-მდე, კედლის სისქით 6მმ დან 50მმ-მდე.

უნაკერო მილები ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობაში და ზოგადტექნიკური მიზნებისთვის.



თუჯის სხმულები

ქარხნის საფასონო-სამსხმელო საამქრო აწარმოებს სხვადასხვა ზომისა და წონის სხმულებს, რომლებიც თუჯისა და ფერადი ლითონებისაგან მზადდება.

ამჟამად, საამქრო აწარმოებს 20 კილოგრამიან თუჯის სხმულებს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიერ წარმოებული თუჯის სხმულები, ადგილობრივი ბაზრის გარდა, საქსპორტო ბაზრებზეც აქტიურად იყიდება.

თუჯის სხმულების წარმოების საერთო მოცულობა თვეში 1000 ტონას შეადგენს.



ფასონური სხმულები

რუსთავის მეტალურგიული ქარხანის საფასონო-სამსხმელო საამქრო აწარმოებს ფოლადის, თუჯისა და ფერადი ლითონების სხმულებს. საამქრო აგრეთვე ამარაგებს საწარმოს ძირითად საამქროებს სხვადასხვა სახის დეტალებით და მილსაგლინავ საამქროს სამილე ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით.

საფასონო-სამსხმელო საამქროში აგრეთვე მზადდება შემდეგი სახის პროდუქცია:

- სხვადასხვა სახის რედუქტორების კორპუსები, ჯავშნები, წისქვილის ბურთულები, საკანალიზაციო ჭების სახურავები, სანიაღვრე ჭების სახურავები, მოაჯირები და სხვა დეტალები. დამზადებული სხმულების წონა 0,5 კგ-დან 5000 კგ-მდე მერყეობს;



ლითონკონსტრუქციები

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მოქმედი საამქროების სიმძლავრეები იძლევა იმის საშუალებას, რომ დამკვეთის კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად წარმოებულ იქნას სხვადასხვა სპეციფიკაციის ლითონის კონსტრუქციები. ქარხნის ბაზაზე შესაძლებელია შემდეგი ტიპის საქმიანობის წარმოება:

- სხვადასხვა ზომისა და მოცულობის რეზერვუარების დამზადება;
- სხვადასხვა ზომის ფოლადის ფურცლების დაჭრა;

- 40მმ-მდე ფოლადის ფურცლების მოღუნვა და დამრგვალება 3500მმ დიამეტრამდე;
- სხვადასხვა ზომის ინდუსტრიული კონსტრუქციების დამზადება (ხიდურა ამწის სავალი კოჭების დამზადება და ა.შ);
- სხვადასხვა ზომის ცილინდრების, კონუსებისა და ფერმების დამზადება.



მილსაგლინავი საამქრო

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში „დგან 400“-ზე იწარმოება მაღალი ხარისხის, ცხლადდეფორმირებული უნაკერო მილები, დიამეტრით 168 - 426მმ და კედლის სისქით 6 - 50მმ, შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად:

- ГОСТ 8731/32;
- ГОСТ 632/633;
- API Spec 5L;
- API Spec 5 CT;
- EN 10210;
- EN 10297;
- ASTM A 106;
- A 53/A 53M.

აღნიშნული სტანდარტებით წარმოებული მილები გამოიყენება მაგისტრალური სადენების მშენებლობისას თხევადი და აირადი ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის დიდ მანძილებზე, გაზის და ნავთობის ჭაბურღილების ექსპლუატაციისთვის, მშენებლობისთვის, მანქანათმშენებლობისთვის და ზოგადტექნიკური მიზნებისთვის.

მილსაგლინავი აგრეგატი „400“ განთავსებულია 8 მალიან შენობაში, რომლის სიგრძე 632 მ-ია, ხოლო სიგანე 240მ. მილსაგლინავი აგრეგატის-დგან „400“-ის მხრიდან ძირითად შენობაზე მიშენებულია სწორკუთხოვანი მილების წარმოების უბანი და ქუროების დამზადების ავტომატიზირებული ხაზები.



ფოლადსადნობი საამქრო

„რუსთავის მეტალურგიული ქარხნის“ ფოლადსადნობ საამქროში მიმდინარეობს 100X100მმ ზომის დაბალნახშირბადიანი ფოლადის კვადრატული ნამზადის ჩამოსხმა. ფოლადის ნამზადისაგან შემდგომში იწარმოება 12-32მმ დიამეტრის, A500 C და A400 C კლასის, თერმოგამტკიცებული ფოლადის სამშენებლო არმატურა, რომელიც სორტსაგლინავ საამქროში „დგან 320“-ზე მზადდება.

ფოლადსადნობი კომპლექსი ასევე, მოიცავს შემდეგი ტიპის სამუშაო უბნებს:

- 2 საკაზმე ეზო - ჯართის მომზადების უბანი;
- ერთ 35 ტონიანი ელექტრო რკალური ღუმელი;
- ერთი 35 ტონიანი ციცხვ ღუმელი;
- უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი;
- კვადრატული ნამზადის საწყობი.



სორტსაგლინავი საამქრო

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა სორტსაგლინავი საამქროში აწარმოებს თერმოგამტკიცებულ არმატურას, რომელიც “დგან 320-ზე” მზადდება. არმატურის დიამეტრი შეადგენს 12-32 მილიმეტრს და იგი A500C და A400C კლასს განეკუთვნება.

დგანი "320" შემდეგი ტიპის დანადგარებისაგან შედგება:

1. მეთოდურ-გამახურებელი ორზონიანი ღუმელი, რომელიც მოიცავს შემდეგ მოწყობილობებს:
 - საბიძგებელი;
 - გამომგდები.
2. გლინვის ხაზი, რომელიც შედგება:
 - 16-უჯრიანი დგანისგან:
 - 6 უჯრა-მომჭიმავი ჯგუფი
 - 6 უჯრა-შუალედური ჯგუფი
 - 4 უჯრა-სასუფთაო ჯგუფი
 - მფრინავი მაკრატელი - რომელიც დამონტაჟებულია მროგორც მომჭიმავი ჯგუფის, ასევე თერმული დამუშავების დანადგარი შემდეგ;
 - თერმული დამუშავების დანადგარი.
3. ცივად ჭრა და შეფუთვა, რომელიც მოიცავს შემდეგ მოწყობილობებს:
 - მაცივარი;
 - ცივად ჭრის წნეხი;
 - შესაფუთი მოწყობილობა;
 - საწყობი.



საფასონო-სამსხმელო საამქრო

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საფასონო-სამსხმელო საამქროში ფუნქციონირებს სამტონიანი და ხუთტონიანი მოცულობის ელექტორკალური ღუმელები რისი მეშვეობითაც იწარმოება ფოლადის, თუჯისა და ფერადი ლითონების სხმულები.

საამქრო აგრეთვე ამარაგებს საწარმოს ძირითად საამქროებს სხვადასხვა სახის დეტალებით და მილსაგლინავ საამქროს სამილე ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით.

საფასონო-სამსხმელო საამქროში აგრეთვე მზადდება შემდეგი სახის პროდუქცია:

- სხვადასხვა სახის რედუქტორების კორპუსები, ჯავშნები, წისქვილის ბურთულები, საკანალიზაციო ჭების სახურავები, სანიაღვრე ჭების სახურავები, მოაჯირები და სხვა დეტალები. დამზადებული სხმულების წონა 0,5კგ–დან 5000კგ–მდე მერყეობს;
- ასევე, ფერადი ლითონები (ალუმინის, ბრინჯაოს, სპილენძისა და სხვა შენადნობის), რომელთა წონა 0,5კგ–დან 300 კილოგრამამდეა.

საფასონო საჩამოსხმელო საამქროში ასევე განთავსებულია: 0.4 ტონიანი ინდუქციური ღუმელი; 1 ტონიანი ჰორიზონტალური ელექტრორკალური ღუმელი; ფეროშენადნობებისთვის 1 ელექტრორკალური ღუმელი; 3 ტონიანი ინდუქციური ღუმელი; რომელებიც გამოსული არიან მწყობრიდან და არ ფუნქციონირებენ.



მექანიკური საამქრო

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მექანიკურ საამქროში სხვადასხვა სახის მექანიკური დეტალები მზადდება. მექანიკური დეტალები იწარმოება როგორც ქარხნის შიდა მოხმარებისათვის, ასევე სრულდება ქართული და უცხოური ორგანიზაციების მსხვილი დაკვეთები.

მექანიკურ საამქროში მოქმედებს სამჭედლო უბანი, სადაც შესაძლებელია დამზადდეს 50მმ–დან 600მმ–მდე დიამეტრის მქონე ფოლადის ნაჭედი (ნამზადი), რომელიც გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების დეტალების დასამზადებლად.

გარდა ამისა, მექანიკურ საამქროში შესაძლებელია შემდეგი სახის მექანიკური დეტალების დამზადება:

- საკარუსელო დაზგებზე შესაძლებელია დამუშავდეს 1000მმ–დან 5000მმ–მდე დიამეტრის და 1,5მ სიმაღლის დეტალები;
- ფოლადის ნამზადიდან კბილანების, ქუროების, ცილინდრების, ჭია კბილანების და სხვა დეტალების დამზადება;
- დიდი გაბარიტის დაზგებზე მუშავდება 100მმ–დან 650მმ–მდე დიამეტრის და 10 მეტრი სიგრძის ღერძები და ლილვები;
- კბილ საჭრელ ჩარხებზე 4 მოდულიდან 28 მოდულამდე 4მ დიამეტრის გარე მოდების კბილანების მოჭრა. ასევე შიდა მოდების კბილანები 2 მოდულიდან 10 მოდულამდე და სპირალური კბილანები 3 მოდულიდან 12 მოდულამდე;
- მექანიკურ საამქროში არსებული საფრეზი, სარანდი, სატეხი, შიგმჩარხი და საბურღი ჩარხების საშუალებით მზადდება სხვადასხვა ზომის ქუროები, კბილანები, ხიდური ამწის სავალი ბორბლების რედუქტორების კორპუსები, ღერძები, ლილვები და სხვადასხვა ზომისა და წონის დეტალები.



სხვა დამხმარე საამქროები

“რუსთავის მეტალურგიული ქარხნის” ენერგეტიკული და მექანიკური უზრუნველყოფის სამსახურებში გაერთიანებულია საამქროები, რომლებიც დამხმარე ქვედანაყოფების ფუნქციას ასრულებენ და მათ მთავარ დანიშნულებასაც სათადარიგო ნაწილების დამზადება წარმოადგენს. გარდა ამისა, სწორედ ამ საამქროებში ტარდება ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების მიმდინარე და გეგმიური რემონტი.

ენერგეტიკული და მექანიკური უზრუნველყოფის სამსახურების ქვედანაყოფებია:

მექანიკური უზრუნველყოფის სამსახურში გაერთიანებულია შემდეგი საამქროები:

- შემკეთებელ-მექანიკური საამქრო;
- ტექნოლოგიურ მოწყობილობათა შემკეთებელი საამქრო;
- საფასონო-სამსხმელო საამქრო;
- ლითონკონსტრუქციების განყოფილება (ტექნოლოგიურ მოწყობილობათა შემკეთებელი საამქრო);
- მცირე პროექტების განყოფილება.

ენერგეტიკული უზრუნველყოფის სამსახურში გაერთიანებულია შემდეგი საამქროები:

- ენერგოშემკეთებელი უბანი;
- ელექტროშემკეთებელი უბანი;
- ელექტრომომარაგების უბანი;
- ბუნებრივი აირის და ჟანგბადის საამქრო;
- ელექტრო საამქრო;
- ელექტრო-ტექნიკური ლაბორატორიის ჯგუფი;
- საზომ-საკონტროლო ხელსაწყოებისა უბანი;
- ავტომატიზაციის ჯგუფი.

დამხმარე წარმოებას აგრეთვე მიეკუთვნება შემდეგი განყოფილებები და საამქროები:

- რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის განყოფილებები;
- მეტროლოგიის განყოფილება;
- ცენტრალური ლაბორატორია;
- მეტალურგიული ღუმელების შემკეთებელი საამქრო.



ლაბორატორია

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში ხორციელდება ყველა ის ანალიზი და გამოკვლევა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთან გაგზავნილი

პროდუქციის სრულ შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. ცენტრალური ლაბორატორიის აღჭურვილობა და პერსონალის პროფესიონალიზმი იძლევა შესაძლებლობას ჩატარდეს შემდეგი სახის გამოცდები:

1. მექანიკური თვისებების განსაზღვრა:

- 1.1. ლითონის ტესტირება გაწვევტაზე. მოწყობილობა: ტაივანის წარმოების 100 ტონიანი სიმძლავრის კომპიუტერიზირებული უნივერსალური მანქანა, რუსეთის წარმოების 10 ტონიანი სიმძლავრის მანქანა;
- 1.2. ლითონის დარტყმითი სიბლანტის განსაზღვრა (შარპის ტესტირება). მოწყობილობა: რუსული წარმოების მანქანა მარკა MK – 30;
- 1.3. ლითონის სისალის განსაზღვრა როკველის და ბრინელის მეთოდებით.

2. ქიმიური ანალიზი:

- 2.1. ფოლადის სრული ქიმიური ანალიზი. მოწყობილობა: შვეიცარიის წარმოების ARL ტიპის სპექტრომეტრი QuantoDesk და ARL 3460 უახლესი სპექტრომეტრი;
- 2.2. თუჯის ქიმიური ანალიზი კლასიკური მეთოდით;
- 2.3. ფეროშენადნობების ქიმიური ანალიზი კლასიკური მეთოდით;
- 2.4. სპექტრული ანალიზი ყველა სახის ფეროშენადნობების, მათი მადნების და წიდების ჩათვლით. მოწყობილობა: გერმანული წარმოების ლაზერული მიკროსპექტროანალიზატორი ELEMA – 10.



ლაბორატორიაში ფიზიკური მეთოდებით შესრულებული სამუშაოები სჭარბობს ქიმიური მეთოდებით შესრულებულს. შესაბამისად მოხმარებული ქიმიური რეაქტივები ძალიან მცირეა და ძირითადად ინახება თავდახურულ ჭურჭელში ან ცელოფანის პაკეტებში. რეაქტივების გამოყენება ხდება განზავებული სახით. შესაბამისი განეიტრალებისა და განზავების შემდეგ ხდება მათი კანალიზაციაში ჩაშვება, რომელიც თავისმხრივ ჩაედინება თბილისი-გარდაბნის რეგიონალურ გამწმენდ ნაგებობაში. აქედან გამომდინარე მათი გარემოზე ზემოქმედება მინიმალურია.

ხარისხის მართვის სისტემა

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დანერგილია და მოქმედებს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტების ISO 9001 და API Spec Q1 მოთხოვნების გათვალისწინებით. ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობა და რობა დადასტურებულია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სტრატეგია, ხარისხის მართვის კუთხით, ორიენტირებულია მომხმარებლების მოთხოვნების შესრულებაზე, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფაზე და პროდუქციის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებაზე, რაც დადგენილი მოთხოვნების მკაცრი დაცვის გზით მიიღწევა. ხარისხის მართვის სისტემის ძირითადი ამოცანებია არსებული მოთხოვნების დაცვა და წარმოების მუდმივი გაუმჯობესება, რაც შესაძლებლობას იძლევა კონკურენტუნარიანი პროდუქციით საწარმო წარდგეს თანამედროვე ბაზარზე.

ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალ ხარისხს შემდეგ ფაქტორთა ერთობლიობა განაპირობებს:

- **მაღალი ხარისხის ნედლეული** - რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მოქმედებს მკაცრი შიდა კონტროლი, რომელიც პროდუქციის წარმოებაში შეუსაბამო ნედლეულის გამოყენებას გამორიცხავს;
- **ტექნოლოგიური პროცესი** - რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია შემუშავებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, მათ მრავალწლიან გამოცდილებასა და თანამედროვე პრაქტიკაზე დაყრდნობით;
- **კონტროლის სისტემა** - კონტროლის მექანიზმი, რომელიც მოქმედებს წარმოების ყველა ეტაპზე;
- **კვალიფიცირებული კადრები** - ქარხანაში მოქმედებს პერსონალის შერჩევისა და პროფესიული სწავლების სისტემები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის კომპეტენტურობის მაღალ დონეს;
- **მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია** - პროდუქციის შემოწმება და კონტროლი ხორციელდება თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილ ლაბორატორიაში, სადაც დგინდება პროდუქციის თვისებები და სხვა მახასიათებლები.

სერტიფიკატები:

- ISO 9001; 2008;
- API Spec 5CT;
- API Spec 5L;
- EN 10210 – CE Marking;
- DSTU 3760:2006;
- GOST 632;
- GOST 8731/32;
- TY 14-3-1128-200;
- GOST 53366;
- PED.

2. საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება

საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება მიღებულია [7] -ს შესაბამისად და წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილების სახით.

ცხრილი 2.1. პუნქტის კოორდინატები, ბარომეტრული წნევა

№	პუნქტის დასახელება	გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი)	გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი)	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	ბარომეტრული წნევა (ჰპა)
1	რუსთავი	41°33'	45°01'	332	970

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით რუსთავი განეკუთვნება IIIგ ქვერაიონს.

ცხრილი 2.2. ჰაერის ტემპერატურა (თვის და წლის საშუალო)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
0,8	2,6	6,6	11,9	17,5	21,6	25,0	25,0	20,3	14,4	7,7	2,6	13,0

ცხრილი 2.3. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
74	70	68	63	63	58	55	54	62	69	77	77	66

ცხრილი 2.4. ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ) ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)

პუნქტის დასახელება	ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ)	ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)
რუსთავი	382	123

თოვლიან დღეთა რიცხვი წელიწადში: 12

ცხრილი 2.5. ქარის მიმართულების განმეორადობა (%) იანვარი, ივლისი

ჩრდ,	ჩრდ,აღმ,	აღმ,	სამხ,აღმ,	სამხ,	სამხ,დას,	დას,	ჩრდ,დას,
10/7	4/3	4/9	10/9	7/12	3/3	9/4	53/53

ცხრილი 2.6. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე (მ/წმ)

იანვარი	ივლისი
5,8/1,7	8,2/3,5

მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს

№	მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
1	2	3
1	ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
2	ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1
3	წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	25
4	წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	0,8
5	ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	შტილი-18
	- ჩრდილოეთი	8
	- ჩრდილო-აღმოსავლეთი	4
	- აღმოსავლეთი	7
	- სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
	- სამხრეთი	10
	- სამხრეთ-დასავლეთი	3
	- დასავლეთი	7
- ჩრდილო-დასავლეთი	48	
6	ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორადობა შეადგენს 5%-ს,	13მ/წმ

3. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ტერიტორიაზე განთავსებულია 11 ინფრასტრუქტურული ერთეული. განხილულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროები მთლიანი საწარმოს 11 ცალკეული ინფრასტრუქტურული ერთეულიდან, მათ შორის:

3.1. ელექტრო ფოლადსადნობი საამქრო

ელექტრო ფოლადსადნობ საამქროს დანიშნულებაა:

- საკაზმე მასალების (კაზმი შედგება რამოდენიმე კომპონენტისგან: მძიმე და მსუბუქი (დაპრესილი) ლითონის ჯართი, თუჯის ჯართი და წიდის ფრაქციები.) 35 ტ/სთ ელექტრო რკალურ ღუმელში დადნობა;
- გადნობის შედეგად მიღებული ფოლადის გაჟანგვა ციციხ-ღუმელზე და ვაკუუმურ ღუმელზე (გამჟანგველებად გამოიყენება სილიკომანგანუმი, ფეროსილიციუმი, ალუმინი, კალციუმი და სხვა) ფოლადის შესაბამისი მარკის მისაღებად;
- მიღებული ფოლადის ჩამოსხმა უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარზე კვადრატული (130 X 130) ან მრგვალი (D 170; 210; 250; 280) ნამზადის სახით;
- ნამზადის გაცივება და დასაწყობება.
- რკალური და ციციხ ღუმელებიდან დნობა / დამუშავების პროცესში მიღებული გამონაბოლქვი აირის შეკრება, გაცივება, გაფილტვრა (მტვრის ნაწილაკების მოშორება) და ატმოსფეროში გატყორცნა.
- ტექნოლოგიური პროცესის ნაწილია ფოლადის ჩასასხმელად / დასამუშავებლად გამოყენებული ციციხების და შუალედური ციციხების ბუნებრივი აირით გახურება.

- ფოლადის დნობის და ჩამოსხმის შედეგად წარმოქმნილი წიდის, რკინის ხენჯის, ლითონის ნარჩენის ორგანიზებული შეგროვება და შესაბამისი საამქროსთვის მიწოდება გადამუშავებისთვის და შემდგომი გამოყენებისთვის;

ელექტრო ფოლადსადნობ საამქროსთან განთავსებულია ახალი საურნალე საამქრო, რომელშიც გაერთიანებულია:

- ჯართის დასაწყობების უბანი;
- არაგაბარითული ჯართის ჭრის უბანი (აირით ჭრის 16 აპარატი);
- შრედერის უბანი (ჯართის დამაქუცმაცებელი დანადგარი);
- პრესის უბანი (დანადგარი ჯართის დასაპრესად);
- კაზმის მომზადების უბანი;

ელექტრორკალური და ციციხვლუმელი აღჭურვილია მტვერდამჭერი სისტემით შემდეგი პარამეტრებით:


- რაოდენობა: 1 კომპლექტი;
- ვენტილატორის სიმძლავრე: 800000 მ³/სთ;
- ფილტრაციის საერთო ფართობი: 10000 მ²;
- ხვიშირების რაოდენობა: 16 ც;
- ფილტრაციის მეთოდი: ვაკუუმური ფილტრაცია;
- ფილტრის ჩანთის მასალა: 500 გრ პოლიეფირის ქეჩა;
- ფილტრის ტომრის მხურვალმდეგობა: 130°C;
- ფილტრის ტომრის ზომები: Φ140×6000;
- ფილტრის ტომრების რაოდენობა: 4000 ც;
- ჩარჩოს ზომები: Φ135×5950;
- ჩარჩოების რაოდენობა: 4000 ც;
- ჩარჩოს მასალა: ცივიდგლინული მოთუთიებული ფოლადის მავთული;
- იმპულსური სარქველის ტიპი: 3" ჩამირული იმპულსური სარქველი;
- იმპულსური სარქველების რაოდენობა: 300 ც;
- იმპულსური წნევა: 0,25-0,4 მპა;
- მტვრის გაწმენდის მეთოდი: სისტემის გარეთ;
- მტვერდამჭერზე შემავალი ტემპერატურა: <120°C;
- მოწყობილობის წინაღობა: ≤1300 პა;
- მაქსიმალური წნევა: 5000 პა;
- მტვრის მოცილების ეფექტურობა: ≥95%.



ელექტრორკალური ღუმელი და ციციხვლუმელი



ვაკუუმირების ლუმელი



ელ. რკალური ლუმელის ფილტრი და გამფრქვევი მილი



ციცხვების გამახურებლები



დაკონსერვებული ციცხვლუმელი N1



დაკონსერვებული ციცხვლუმელი N2



დაკონსერვებული 15 ტონიანი ელექტრორკალური ღუმელი



დაკონსერვებული უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი

3.2. საფასონო საჩამოსხმელო საამქრო

საამქროში მზადდება მილსაგლინავი საამქროსათვის მილების საგლინავად აუცილებელი იარაღი, ისხმევა ქარხნის ყველა საამქროსათვის საჭირო დეტალები.



5 და 3 ტონიანი ელექტრო რკალური ღუმელები



თერმული ნორმალიზაციის ღუმელი



თუჯის საჩამომსხმელო მანქანა



თუჯის სხმულების პირველადი გასუფთავების დოლი



დაკონსერვებული ერთ ტონიანი ჰორიზონტალური ელექტრორკალური ღუმელი



დაკონსერვებული მადანაღმდგენელი 5 მგვტ-იანი სილიკომანგანუმის ღუმელი



დაკონსერვებული 0,4 ტონიანი ინდუქციური ღუმელი



დაკონსერვებული 3 ტონიანი ინდუქციური ღუმელი

3.3. სამოდელო ხის უბანი

სხმულის მისაღებად პირველ ყოვლისა საჭიროა დეტალის ნახაზი, რომელზეც მოცემულია ყველა ზომა, მისი ზედაპირის მექანიკურად დამუშავების სიზუსტის კლასის ჩვენებით და იმ მასალის აღნიშვნით, რომლისგანაც იგი უნდა დამზადდეს.

დამუშავებული ნახაზი იგზავნება სამოდელო განყოფილებაში, სადაც მის საფუძველზე ამზადებენ მოდელს და საკოპე ყუთს. საყალიბე განყოფილებაში აყალიბებენ მოდელს და ლებულობენ საჩამოსხმო ყალიბს, ხოლო საკოპე განყოფილებაში საკოპე ყუთში ამზადებენ კოპს.

სამოდელო კომპლექტის დანიშნულება.

სამსხმელო ყალიბებისა და კოპების დასამზადებლად აუცილებელია სამოდელო კომპლექტი, რომელიც შედგება:

- საკუთარი მოდელისაგან ან საყალიბე შაბლონებისაგან, რომლებიც ემსახურება ყალიბის სიღრუის წარმოქმნას;
- საკოპე ყუთისაგან ან შაბლონისაგან;
- მოდელებისაგან, სასხმო სისტემის ელემენტებისაგან, სასულეებისაგან და სხვა დეტალებისაგან;
- მოდელებზე ფილებისაგან (რომელზეც მაგრდება სხმულის მოდელი), სასხმო სისტემის ელემენტებისაგან და სხვა.

კოპების ყალიბობისას სამოდელო კომპლექტის შემადგენლობაში შედის მხოლოდ საკოპე ყუთები;

სამოდელო კომპლექტი წარმოადგენს აღჭურვილობის ძირითად ნაწილს, რაც აუცილებელია ყალიბის დასამზადებლად. სამოდელო კომპლექტის გარდა, მთელი აღჭურვილობის შემადგენლობაში შედის აგრეთვე კოპების ხელსაწყოები, მათი კონტროლისათვის;

სამოდელო კომპლექტის დამზადება.

მოდელი შეიძლება დამზადდეს ხის, ლითონის, პლასტმასის, თაბაშირის, ცემენტის, რეზინის და სხვა მასალისაგან.

ხის მოდელები გამოიყენება ხელით დაყალიბებისას, ძირითადად ერთეულ წარმოებაში. ხის მასალის დადებით მხარეს წარმოადგენს მისი სიიაფე, მცირე სიმკვრივე, დამუშავების სიადვილე და სუფთა და გლუვი ზედაპირის მიღების

შესაძლებლობა; სახერხი მასალები ხარისხდება მერქნის ჯიშისა და სისქის მიხედვით.

ჯიშის მიხედვით შეიძლება გავაერთიანოთ რამდენიმე პარტია:

- ნაძვი, ფიჭვი, თხმელა (მურყანი) და ცაცხვი;
- არყა, ნეკერჩხალი, წიფელი და რბილწიწვიანა (ლარიქსი);
- მუხა და კაკალი.

სისქით: 30 მმ-მდე და 30 მმ-ზე მეტი.

სამოდელო ხის უბანში განთავსებულია ექვსი ერთეული ხის დამამდუშავებელი დანადგარი.

დაგეგმილია გაერთიანებული გამწმენდი დანადგარის მოწყობა (ციკლონი, ეფექტურობა 70%), რომელიც მოემსახურება ხის სამოდელო უბანს.

3.4. მილსაგლინავი საამქრო

ფოლადსადნობიდან ჩამოსხმული მილნაშადი დაკვეთების მიხედვით რკინიგზის სპეციალური ვაგონების საშუალებით მიეწოდება ყოფილი საგლინავი საამქროს ტერიტორიას, სადაც განთავსებულია ნაშადის მიმღები მაგიდები. ტექნიკური კონტროლის მიერ დაკვეთების

მიხედვით ნამზადის მიღების უზანზე ხდება ნამზადის მიღება და დანაწევრება 1500 ტონიანი წნეხის საშუალებით. დანაწევრებული ნამზადი რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებით მიეწოდება მილსაგლინავი სამქროს საწყობს, საიდანაც იტვირთება რგოლური ღუმელი ნამზადით. ღუმელში ჩატვირთული ნამზადი ხურდება განსაზღვრულ ტემპერატურაზე და მიეწოდება შემდეგ უზანს, სადაც გადის ეტაპებს:

- განღრუება, სქელკედლიანი გილზის მიღება;
- მეორადი განღრუება თხელკედლიანი მასრის მიღება;
- ავომატ დგანზე მასრიდან სასურველი კედლის სისქის მილის მიღება;
- შემომგლინავ დგანზე მილის შიგა და გარე ზედაპირების გასუფთავება, დიამეტრის აწევა მაკალიბრებელი დგანისათვის;
- მაკალიბრებელ დგანზე სასურველი დიამეტრის მილის მიღება.

ამ პროცესების შემდეგ მილები გაივლიან მაცივარ მაგიდებს, მასწორ მანქანას, ბოლოების ჩამოჭრას პლაზმურ ჭრაზე, რის შემდეგაც მოხდება მათი ტესტირება გიდროწნეხით ან ულტრაბგერითი დანადგარით. ამის შემდეგ შემოწმებულ მილებს გაუკეთდება ბოლოებზე ნაზოლი ან პირდაპირი მექანიკური დამუშავება. დამუშავების შემდეგ ხდება მილების მარკირება და გადაწოდება დატვირთვების უზნის საწყობისთვის და იტვირთება ვაგონებში, მანქანებზე და კონტეინერებში დაკვეთების მიხედვით.


მილების ნაწილი ბოლოების მექანიკური დამუშავების შემდეგ გადადის ხრახნის მჭრელ უზანზე, სადაც იჭრება ხრახნი ცალ მხარეს ქუროდამხვევი ჩარხით და უკეთდება ქურო, ხოლო მილის მეორე მხარეს კი უკეთდება ხრახნის დამხვევი ქურო. ამ მილებს მარკირების შემდეგ გადაეწოდება დატვირთვების უზნის საწყობს, საიდანაც იტვირთება აღნიშნული მილები დაკვეთების მიხედვით.

აგრეგატ “400”-ს წარმადობაა 40 ტონა ფოლადის გახურება საათში და ბუნებრივი აირის ხარჯი შეადგენს 150მ³ ერთი ტონა ლითონის გახურებაზე.

ცხლად დეფორმირებული უნაკერო (SMLS) მილები, გლუვი უხრახნო და ხრახნიანი ბოლოებით, რომლებიც წარმოებული მილსაგლინავ აგრეგატ „400“-ზე (ნორმალიზაციით ან ნორმალიზაციის გარეშე), განკუთვნილია მშენებლობისთვის, ნავთობის და გაზის მრეწველობისა თუ ტრანსპორტირებისთვის, ლითონკონსტრუქციებისთვის, მანქანათმშენებლობისთვის და ზოგადი დანიშნულებისთვის.

აგრეგატ “400”-ზე მილების წარმოების ტექნოლოგიური სქემა ნაჩვენებია ნახაზზე 3.4.1, 3.4.2. სტანდარტების API 5L, API 5CT, GOCT 8731-32, GOCT 632, EN 10210, EN 10216, EN 10297 მიხედვით.

ნახაზი 3.4.1. მიღების წარმოების ტექნოლოგიური სქემა




გეომეტრიული პარამეტრებით: სიმაღლე-75 მ; დიამეტრი-2,5 მ; ტემპერატურა მილის გამოსასვლელზე 325°C, მოცულობითი ხარჯი 10,46 მ³/წმ, 1 მ³ გაზზე 10 მ³ ჰაერის დამატების გათვალისწინებით, $[(40 \times 18 \times 10) + (40 \times 25 \times 10)] \times (1+325/273)/3600$; ხაზობრივი სიჩქარე-2,13 მ/წმ.



თერმული დამუშავების ლუმელი



თერმული დამუშავების ლუმელის გამფრქვევი მილი



საერთო ხედი



ფოსფატირების უბანი




პლაზმური ჭრის დანადგარი

3.5. სორტული გლინვის საამქრო

სორტული გლინვის საამქროში იგლინება პერიოდული ნაგლინი N8 პროფილიდან N32 პროფილის ჩათვლით (არმატურა და მრგვალი ნაგლინი). მეთოდურ ლუმელში გაცხელების შემდეგ კვადრატული ნამზადი იგლინება დგანებში გატარების შემდეგ, რომელიც გაივლის თერმული განმტკიცების მოწყობილობას და იჭრება „320“-ის მაკრატლის საშუალებით მაცივრის მოწყობილობაზე დასალაგებლად. შემდეგ იჭრება 12 მეტრის სიგრძეებად მაკრატელზე, პაკეტდება და გადაეცემა საწყობს.

რგოლური ლუმელის წარმადობაა 43 ტონა ფოლადის გახურება საათში და ბუნებრივი აირის ხარჯი შეადგენს 30 მ³ ერთი ტონა ლითონის გახურებაზე. პროდუქციის წარმოების და კონტროლის სქემა იხილეთ ნახაზზე 3.5.1.

ნახაზი 3.5.1. სორტული გლინვის საამქროს პროდუქციის წარმოების და კონტროლის სქემა



ნამზადის მომზადება

გლინვის უწყვეტ დგანზე აღნიშნული პროდუქციის წარმოებისათვის, ნამზადად გამოიყენება კვადრატული კვეთის ნაგლინი, ზომით 100x100მმ. კვადრატული ნამზადის გეომეტრიული ზომები, ქიმიური შემადგენლობა და მექანიკური თვისებები უნდა აკმაყოფილებდეს ГОСТ 380, 2591, 5781-ის მოთხოვნებს.

ლითონის გახურება ხდება ორ ზონიან, მონოლითურ მეთოდურ ლუმელში. საწვავად გამოიყენება ბუნებრივი აირი.

ლუმელის ტექნიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში.

N	დახასიათება	განზომილება	სიდიდე
1	ლუმელის წარმადობა	ტ/სთ	≈ 43
2	ლითონის გახურებისას ტემპერატურა	OC	1180-1200
3	გამახურებელი ზონის ტემპერატურა (II ზონა)	OC	1150-1200
4	გამთანაბრებელი ზონის ტემპერატურა(I ზონა)	OC	1220-1250

5	ღუმელიდან გამავალი ნაძწვი აირის ტემპერატურა (მეთოდურ ზონაში)	OC	750-მდე
6	საწვავი		ბუნებრივი აირი
7	აირის წნევა ღუმელის წინ	მმ.წყ.სვეტის	1100
8	აირის კალორიულობა	კკალ/ნმ ³	8000
9	აირის მაქსიმალური ხარჯი	ნმ ³ /სთ	≈ 1290
10	სანთურები	ტიპი	ИТ 240
11	სანთურების რაოდენობა: გამახურებელ ზონაში (II ზონა) გამთანაბრებელ ზონაში (I ზონა)		ორი გვერდითა; ორი ტორსული.
12	სანთურების წინ აირის წნევა	მმ.წყ.სვეტის	300
13	ერთ სანთურაზე აირის ხარჯი	ნმ ³ /სთ	250-275
	ჰაერის ტემპერატურა	OC	400-მდე
15	ერთ სანთურაზე ჰაერის ხარჯი	ნმ ³ /სთ	2500_2750
1	სანთურის წინ ჰაერის წნევა	მმ.წყ.სვეტის	300
17	აირის და ჰაერის ხარჯის თანაფარდობა (საშუალო)		1 : (9,5 – 10)
18	წნევა ღუმელის ქვედთან		დადებითი
19	ჰაერის გამაცხელებელი რეკუპერატორები	ორი ცალი	120 მილი თითოეულში, ზომით Ø 48X3, L - 2.5 მ.
20	კვამლგამწოვი ვენტილიატორი Д - 12		
21	ლითონის საკვამლე მილი	სიმაღლე დიამეტრი	50მ; 1.8მ
22	ჰაერის ვენტილიატორი	ცალი	1 ტიპი BBH – E 7; 6X1 F
	ელ. ძრავის სიმძლავრე	კ.ვატი	45
	ბრუნთა რიცხვი	ბრ/წუთში	3000
	წარმადობა	მ ³ /სთ	20000-მდე
	ჰაერის წნევა	მმ.წყ.სვეტის	1000
23	ღუმელის ზომები:		
23.1	სიგრძე:		18000
	-გაბარიტული -აქტიური ქვედის	მმ	16110
23.2	ღუმელის სიგანე:		4200
	-გაბარიტული; -ამონაგის გათვალისწინებით.	მმ	3316
23.3	მეთოდური ზონის სიმაღლე	მმ	810
23.4	მეთოდური ზონის სიგრძე	მმ	5110
23.5	მახურებელი და გამთანაბრებელი ზონის სიგრძე	მმ	11000
24	ქვედის აქტიური ფართობი	მ ²	48.3
25	ღუმელის ამონაგი:		
25.1	შამოტისა და საიზოლაციო ბეტონის არკისებური თაღის სისქით	მმ	330
25.2	ღუმელის კედლების სისქე: შამოტის, მსუმბუქი ცეცხლგამძლე მასალით და საიზოლაციო ფილებით	მმ	430
25.3	ქვედის სისქე: - ცეცხლგამძლე ბეტონის, ორი ბლოკით კორუნდის ბლოკებით, შამოტის ნაკეთობებით და მსუმბუქი ბეტონით (ჯამური სისქე)	მმ	640

3.6. საურნალე საამქრო

საურნალე საამქროში შემოსული არაგაბარიტული ჯართი მუშავდება გაბარიტულ ზომებზე. გადამუშავებული ჯართი მიეწოდება ფოლადსადნობ საამქროს. საურნალე საამქროს შემადგენლობაში ფუნქციონირებენ შემდეგი განყოფილებები:

- ფოლადის ჯართის მანქანური და ხელით ჭრის მალები;
- ჯართის - მიმე წონიანი (10 ტ) ბურთულით (ე.წ. კუტის დარტყმის გამოყენებით) საურნალე დამუშავების უბანი;
- მზა პროდუქციის დასაწყობების 180 მ სიგრძის ღია მალი, რომელიც აღჭურვილია ერთი ხიდური ამწით.
- ლითონის ჯართის განტვირთვა და დასაწყობება.
- ლითონის ჯართის და მზა პროდუქციის მიწოდება ხორციელდება (წარმოებს) ადგილობრივი პარკის საავტომობილო ტრანსპორტით;
- ჯართის გადმოტვირთვა და დატვირთვა წარმოებს ესტაკადის აღმოსავლეთის მხრიდან სპეციალურად გამოყოფილ და განლაგებულ მოედანზე მაგნიტურ-გრეიფერული ამწის დახმარებით;
- საავტომობილო ტრანსპორტით მიწოდებულ ლითონის ჯართს წონიან სტაციონალური (30 ტ ტევადობით) სასწორით, რომელიც განლაგებულია აღმოსავლეთის მხრიდან;
- ჯართის თითოეულ ულუფას განტვირთავენ გრეიფერით ან მაგნიტით ესტაკადის განსაზღვრულ ადგილზე;
- დაუშვებელია სხვადასხვა კონდიციის ლითონის ჯართის ერთმანეთში შერევა;
- ავტოტრანსპორტის გაწმენდა წვრილი ჯართისაგან და ნაგვისგან წარმოებს განტვირთვის ადგილზე მაგნიტური ამწის დახმარებით, ხოლო ნაგავს მოაშორებენ ხელით;
- ლითონის ჯართის დასაწყობება წარმოებს შტაბელუბად. მანძილი მათ შორის უნდა იყოს არა ნაკლები 1 მ-სა. დასაწყობების სიმაღლემ უნდა უზრუნველყოს ამწეების ნორმალური გადაადგილება და მანძილმა უნდა შეადგინოს არა ნაკლები 2 მ.



გრეიფერით ჩატვირთვა



წნებ მაკრატელი



ჯართის გადმოტვირთვა



არაგაბარიტული წილის მსხვრევა



არაგაბარიტული წილის აირული ჭრა

3.7. შემკეთებელ მექანიკური საამქრო

შემკეთებელ მექანიკური საამქროში მიმდინარეობს ძირითადად მეტალების დამუშავება სხვადასხვა დანიშნულების ჩარხებზე. ჩარხების ჩამონათვალია იხილეთ ცხრილში 3.7.1.

ცხრილი 3.7.1. საამქროში განთავსებული ჩარხების ჩამონათვალი

ჩარხის N და დასახელება
09-A-12 საბურღი ჩარხი 25 135
09-A-163 საბურღი დაზგა 2125
09-A-23 ჩარხი ტს 75 02 ა
09-A-234 რადიალურად საბურღი ჩარხი
09-A-24 ჩარხი ტს 75 02 ა
09-A-26 ხრახნმჭრელი ჩარხი
09-A-74 ჰორიზონტალური შიგმჩარხი
09-A-77 ჰორიზონტ. შიგმჩარხი ვ 98605
09-A-78 ჰორიზონტალური ნახევრადავტომატი 7534
09-A-79 ჰორიზონტალური შიგმჩარხი ვ 100ა 8
09-A-90 სახარ.ხრახნმჭრელი ჩარხი
09-A-92 სახარ.ხრახნმჭრელი ჩარხი
09-A-93 სახარ.ხრახნმჭრელი ჩარხი
09-A-40 სახარ.ხრახნმჭრელი.ჩარხი
09-A-58 უნივერსალ.საფრეზი.ჩარხი ფა 5
09-A-66 კბილ.საფრეზი ჩარხი 5კ 324 ა
09-A-68 უნივერსალ საფრეზი ჩარხი 675

09-A-70 კბილ.საფრეზი ჩარხი 53აა080ა
09-A-71 კბილ.საფრეზი ჩარხი 53აა080ა
09-A-73 საფრეზი ჩარხი მოდ
09-A-16 საკარუსელო დაზგა.ჩარხი კს 381#949
09-A-97 სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი
09-A-99 სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი
09-A-36 სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი
09-A-37 სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი
09-A-38 სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი
09-A-232 სახარატო ჩარხი
09-A-47 ნორმალ.სახარ.ჩარხი სპა 800 ქ 1500



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობა



შემკეთებელ მექანიკური საამქროს მოწყობილობები

3.8. სამჭედლო განყოფილება

სამჭედლო განყოფილებაში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ლითონის გამახურებელი ღუმელი. სხვა ღუმელები და დანადგარები დაკონსერვებულია.



ლითონის გამახურებელი ღუმელის საკვამლე მილი



დაკონსერვებული ლითონის გამახურებელი ღუმელები და ჩაქუჩი



დაკონსერვებული ლითონის გამახურებელი ღუმელები



დაკონსერვებული ლითონის გამახურებელი ღუმელები



დაკონსერვებული ლითონის გამახურებელი ღუმელები



დაკონსერვებული ლითონის გამახურებელი ღუმელები



დაკონსერვებული ლითონის გამახურებელი ღუმელები

3.9. ლითონკონსტრუქციების უბანი

ლითონკონსტრუქციების საამქრო ემსახურება სხვადასხვა სახის ლითონკონსტრუქციების დამზადებას. საამქრო აღჭურვილია საშემდუღებლო და მეტალის დამუშავების სხვადასხვა დანადგარებით.

3.10. რკინიგზის სალოკომოტივო დეპო

დეპოში მუშაობს ერთი თბომავალი. თბომავლის მუშაობაში შედის დროულად და უსაფრთხოდ გადაზიდოს ვაგონებით ტვირთი საამქროების მოთხოვნის მიხედვით. ასევე, შემოსული დატვირთული ვაგონების დასაცლელად ჩაყენება დანიშნულების მიხედვით, ცარიელი ვაგონების შემდგომში ჩაბარება საქართველოს რკინიგზაზე; დეპოში განთავსებულია ზეთის რეზერვუარი.



ზეთის რეზერვუარი

3.11. სამშენებლო სარემონტო საამქრო

საამქროს მოვალეობა დაზგა-დანადგარების ფუნდამენტების მოწყობა და შენობა-ნაგებობების მშენებლობა-რემონტი. სამშენებლო სარემონტო საამქროში განთავსებულია ხის და ლითონის დასამუშავებელი დანადგარები:

- ორი ერთეული ხის ლენტურხერვიანი დანადგარი;
- ერთი ოხთმხრივი სარანდი;
- ერთი საბურღი დანადგარი;
- ლითონის სალესი ჩარხი;
- ერთი შედუღების პოსტი.

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მეტალურგიული საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელია ქვემოთ მოყვანილი მავნე ნივთიერებების ემისია, რომელთა მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები [5] მოცემულია ცხრილში 4.1.

ცხრილი 4.1.

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ ³		მავნეობის საშიშროების კლასი
კოდი	დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	2	3	4	5
0123	რკინის ტრიოქსიდი (რკინის ოქსიდი) (რკინაზე გადაანგარიშებით)	-	0,04	3
0133	კადმიუმის ოქსიდი (კადმიუმზე გადაანგარიშებით)	-	0,0003	1
0143	მანგანუმი და მისი ნაერთები (მანგანუმის (IV) ოქსიდზე გადაანგარიშებით)	0.01	0.001	2
0146	სპილენძის ოქსიდი (სპილენძზე გადაანგარიშებით)	-	0.002	2
0163	ნიკელი (მეტალური ნიკელი)	-	0.001	2
0183	ვერცხლისწყალი (ლითონური ვერცხლისწყალი)	-	0.0003	1
0184	ტყვია და მისი არაორგანული ნაერთები (ტყვიაზე გადაანგარიშებით)	0.001	0.0003	1
0203	ქრომი (ექსვსვალენტისანი) (ქრომის (VI) ოქსიდზე გადაანგარიშებით)	-	0.0015	1
0207	თუთიის ოქსიდი (თუთიაზე გადაანგარიშებით)	-	0.05	3
0301	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	0.2	0.1	3
0304	აზოტის (II) ოქსიდი (აზოტის ოქსიდი)	0.4	-	3
0322	გოგირდმჟავა (H2SO4 მოლეკულის მიხედვით)	0.3	0.1	2
0325	დარიშხანი, არაორგანული ნაერთები (დარიშხანზე გადაანგარიშებით)	-	0.0003	1
0330	გოგირდის დიოქსიდი (გოგირდის ანჰიდრიდი)	0,35	0,125	3
0337	ნახშირბადის ოქსიდი	5.0	3	4
0342	აირადი ფტორიდები	0.02	0.014	2
0344	სუსტად ხსნადი ფტორიდები	0.2	0.03	2
0348	ორთოფოსფორმჟავა	-	-	0,02 სუზდ
0410	მეთანი	-	-	50,00 სუზდ
